საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 06 ოქტომბერი, 2020 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/04

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის სტიპენდიების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლე-ბის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 23 სექტემბრის (ოქმი N56) გადაწყვეტილების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ა) **იუსუფ კობალაძის სახელობის საფაკულტეტო სტიპენდია** გაიცეს მხოლოდ სასცენო ხელოვნების დეპარტამენტის სტუდენტებზე;

ბ) **დავით კაკაბაძის სახელობის საფაკულტეტო სტიპენდია გაიცეს** მხოლოდ სახვითი ხელოვნების დეპარტამენტის სტუდენტებზე;

გ) **ზაზა ხალვაშის სახელობის საფაკულტეტო სტიპენდია** გაიცეს მხოლოდ კინო-ტელე ხელოვნების დეპარტამენტის სტუდენტებზე.

2. თუ რომელიმე მიმართულებით ვერ შეირჩა სტიპენდიანტი, დარჩენილ ვაკანტურ ადგილზე განმეორებითი კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, დასაშვებია სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში მონაწილეობა მიიღოს ამავე ფაკულტეტის სხვა დეპარტამენტის სტუდენტმაც.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**